

მედიცინისა და სტომატოლოგიის სკოლა

სადოქტორო პროგრამა "მედიცინა"

უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური: დოქტორანტურა (III საფეხური)

სწავლების ენა: ქართული

მიმართულება: ჯანდაცვა

სპეციალობა: მედიცინა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: მედიცინის დოქტორი

სწავლის ხანგრძლივობა: 3 წელი, 6 სემესტრი

სადოქტორო პროგრამის მოცულობა: 180 ECTS კრედიტი

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: მედიცინის სადოქტორო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს დიპლომირებული მედიკოსის, დიპლომირებული სტომატოლოგის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც აკმაყოფილებს მედიცინისა და სტომატოლოგიის სკოლის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებით განსაზღვრულ საკონკურსო მოთხოვნებს.

პროგრამის ხელმძღვანელები: მედიცინის დოქტორი ნოე ჯორბენაძე

ასოცირებული პროფესორი დავით ღვინიაშვილი

პროგრამის მიზანი

მედიცინის სადოქტორო პროგრამის მიზანია მედიცინის დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე მაღალკვალიფიციური სამეცნიერო და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პედაგოგიური საქმიანობისთვის სპეციალისტების მომზადება, რომელთაც ექნებათ მედიცინის უახლეს მიღწევებზე დაფუძნებული ცოდნა, დარგის სწრაფი განვითარების

პირობებში, ცოდნის ხელახალი გააზრებისა და გადაფასების გზით ცოდნის განახლებული ფარგლების გაცნობიერება, ექიმის პროფესიისთვის მნიშვნელოვანი ეთიკური და სამართლებრივი ღირებულებების დამკვიდრების გზების კვლევისა და მათ დასამკვიდრებლად ინოვაციური მეთოდების შემუშავების მოტივაცია, სწავლის, საქმიანობისა და კვლევის პროცესში ახალი იდეების განვითარებისათვის მზაობა.

საერთაშორისო რეფერირებადი პუბლიკაციებისთვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე მუშაობის, ინოვაციური კვლევების დამოუკიდებლად დაგეგმვისა და ზედამხედველობის უნარის გამომუშავება, ექიმის პროფესიისთვის მნიშვნელოვანი კლინიკური უნარ-ჩვევების გაღრმავება/განვითარება; მეცნიერული კვლევის, ცოდნის ინტეგრირების, საკუთარი დასკვნების საჯაროდ წარმოდგენის, შესაბამისი ცოდნითა და ლოგიკით მისი მკაფიოდ დასაბუთების უნარის განვითარება, კრიტიკული ანალიზის, სინთეზისა და შეფასების უნარ-ჩვევების გაღრმავება, წარმოქმნილი პრობლემის გადაჭრისათვის სწორი და ეფექტური გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება, უცხოურ (ინგლისურ) ენაზე სამეცნიერო საზოგადოებასთან თემატურ პოლემიკაში ჩართვის უნარის გამომუშავება.

პროგრამის სტრუქტურა

მედიცინის სადოქტორო პროგრამა მოიცავს სასწავლო და კვლევით კომპონენტს – სწავლებას და სამეცნიერო კვლევას. შესაბამისად, პროგრამას გააჩნია კომბინირებული თეორიულ-პრაქტიკული პროფილი. სასწავლო კომპონენტი მიზნად ისახავს დოქტორანტის დარგობრივ და მეთოდოლოგიურ დახელოვნებას, უქმნის მყარ თეორიულ საწინდარს დამოუკიდებელი კვლევების წარმოებისთვის, ამზადებს მას მომავალი პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობისთვის. სასწავლო კომპონენტი მოიცავს სავალდებულო და არჩევით ელემენტებს. სასწავლო კომპონენტის სავალდებულო ელემენტია პროფესორის ასისტენტობა, რომლის დროსაც დოქტორანტი პედაგოგიურ ასისტირებას უწევს სამეცნიერო ხელმძღვანელს ან სხვა პროფესორს. კრედიტების მინიჭება ხდება მედიცინისა და სტომატოლოგიის სკოლის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულების მიხედვით. სასწავლო კომპონენტის სავალდებულო ნაწილია აგრეთვე კვლევის მეთოდები, რომლებიც მოიცავს თანამედროვე დარგობრივ მეთოდებს და დოქტორანტს აძლევს ცოდნას ექსპერიმენტის დამოუკიდებლად დაგეგმვის, კვლევითი სამუშაოების ჩატარების, შედეგების სარწმუნოების და ა.შ. შესახებ.

პროგრამის კვლევითი კომპონენტი მიზნად ისახავს დოქტორანტის პროფესიულ დახელოვნებას, დამოუკიდებელ მკვლევარად ჩამოყალიბებას. კვლევითი კომპონენტი მოიცავს სადისერტაციო ნაშრომის მომზადებას და დაცვას.

დისერტაციის წარდგენის წინაპირობაა დისერტაციის თემაზე ოთხი სამეცნიერო ნაშრომის (სტატიის) გამოქვეყნება რეფერირებად სამეცნიერო პერიოდიკაში, მათ შორის ერთი საერთაშორისო იმპაქტფაქტორიან ჟურნალში, ან საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალებში (ე.წ. Proceedings); საქართველოში გამოცემულ და შესაბამის საერთაშორისო კლასიფიკატორში დაფიქსირებულ რეფერირებად/რეცენზირებად ელექტრონულ და/ან ბეჭდურ ჟურნალში გამოქვეყნებული ნაშრომი უტოლდება უცხოურ რეფერირებად/რეცენზირებად ჟურნალში გამოქვეყნებულს.

პროგრამის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი მიმართულია პროგრამაში დასახული მიზნებისა და შედეგების მიღწევაზე. კერძოდ კი დოქტორის აკადემიური ხარისხის შესაბამისი კომპეტენციების გამომუშავებაზე, სამეცნიერო კვლევისათვის და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პედაგოგიური საქმიანობისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევების განვითარებაზე.

”მედიცინის” სადოქტორო პროგრამა

180 კრედიტი

I პროგრამის სასწავლო კომპონენტი -

45 კრედიტი,

1) სავალდებულო კომპონენტები

40 კრედიტი

- სპეციფიკური დარგობრივი კურსები 10 კრედიტი
- კვლევის მეთოდები (სასწავლო კურსი) 10 კრედიტი
- ინგლისური ენა მედიკოსებისათვის 5 კრედიტი
- სწავლების თანამედროვე მეთოდები (სასწავლო კურსი) 5 კრედიტი
- პროფესორის ასისტენტობა (პედაგოგიური პრაქტიკა) 10 კრედიტი

2) არჩევითი კომპონენტები

5 კრედიტი

- კურიკულუმის ფორმირების თანამედროვე მეთოდები
- ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება კვლევასა და სწავლებაში
- მეცნიერების მენეჯმენტი
- კვლევის თემის შესაბამისი სასწავლო კურსი

II პროგრამის კვლევითი კომპონენტი

135 კრედიტი

- სადისერტაციო ნაშრომის მომზადება და დაცვა

სწავლის შედეგები

სადოქტორო პროგრამით დასახული მიზნების თანმიმდევრული და სრულფასოვანი განხორციელება უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს მესამე საფეხურის (დოქტორანტურის) მიხედვით:

<p style="text-align: center;">ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>დოქტორს აქვს:</p> <ul style="list-style-type: none"> • მედიცინის უახლეს მიღწევებზე დაფუძნებული ცოდნა; • მედიცინის მეცნიერების ფუნდამენტური პრინციპების, ძირითადი თეორიებისა და კონცეფციების ღრმა ცოდნა; • ცოდნის გაფართოებისა და ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალება რეფერირებადი პუბლიკაციისთვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე; • დარგის სწრაფი განვითარების პირობებში, ცოდნის ხელახალი გააზრებისა და გადაფასების გზით ცოდნის განახლებული ფარგლების გაცნობიერება; • კვლევითი/სადოქტორო ნაშრომის თემასთან დაკავშირებული საკითხების, კვლევის ობიექტის სპეციფიკის, კვლევის ინოვაციური ასპექტების, კვლევის მეთოდების და მეთოდოლოგიის, უახლესი სამეცნიერო ლიტერატურის, იდეების და მიღწევების სიღრმისეული ცოდნა, რაც არსებული ცოდნის გაფართოებისა თუ ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებას იძლევა (რეფერირებადი პუბლიკაციისათვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე).
<p style="text-align: center;">ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>დოქტორს შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • ინოვაციური კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა, განხორციელება და ზედამხედველობა; • სამედიცინო სფეროში პრაქტიკული საქმიანობა მაღალკვალიფიციურ დონეზე; • სამედიცინო - ბიოლოგიური მეთოდების სიღრმისეული ცოდნის საფუძველზე ახალი ცოდნის შექმნაზე ორიენტირებული სპეციფიკური (თეორიული და კვლევითი) მეთოდოლოგიის შემუშავება და შემდგომი ასახვა საერთაშორისო რეფერირებადი პუბლიკაციებში; • საერთაშორისო რეფერირებადი პუბლიკაციისათვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე მუშაობა;

	<ul style="list-style-type: none"> • კვლევითი/სადოქტორო ნაშრომის თემატიკასთან დაკავშირებული საკითხების სიღრმისეული ცოდნის გამოყენება კვლევის ობიექტის სპეციფიკის გაცნობიერების, კვლევის ინოვაციური ასპექტების განსაზღვრის, კვლევის ადეკვატური უახლესი მეთოდების და მეთოდოლოგიის განსაზღვრის, სამეცნიერო ლიტერატურის შერჩევის, კვლევის მოსალოდნელი შედეგების დასახვის მიზნით.
<p>დასკვნის უნარი</p>	<p>დოქტორს შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • ექსპერიმენტის შედეგების ანალიზი თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად; • საკუთარი დასკვნების საჯაროდ ფორმულირება, შესაბამისი ცოდნითა და ლოგიკით მისი მკაფიო დასაბუთება; • ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზი, სინთეზი და შეფასება; • ინტერდისციპლინური მიდგომა, თეორიული ანალიზი, მოვლენათა კომპლექსური ხედვა და პროცესების ობიექტური შეფასება; • დამოუკიდებელი აზროვნება, მეცნიერული კვლევის და ცოდნის ინტეგრირება; • პრობლემის გადაჭრისათვის სწორი და ეფექტური გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება.
<p>კომუნიკაციის უნარი</p>	<p>დოქტორს შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • დარგის სწრაფი განვითარების პირობებში, ახალი ცოდნის არსებულ ცოდნასთან ურთიერთკავშირში დასაბუთებულად და გარკვევით წარმოჩენა, ასევე საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან თემატურ პოლემიკაში ჩართვა უცხოურ ენაზე.
<p>სწავლის უნარი</p>	<p>დოქტორს შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • საკუთარი კრეატიული პოტენციალის განვითარება/გაღრმავება; • მედიცინისა და ბიოლოგიის უახლეს მიღწევებზე დაყრდნობით, ახალი იდეების, პროცესების განვითარების მზაობა სწავლის, საქმიანობისა და კვლევის პროცესში; • სხვისი სწავლის პროცესის დაგეგმვა და მართვა.
<p>ღირებულებები</p>	<p>დოქტორს შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • მედიცინის სფეროში ღირებულებათა დამკვიდრების გზების კვლევა და მათ დასამკვიდრებლად ინოვაციური მეთოდების შემუშავება.

***შენიშვნა:** ზემოთ მითითებული კომპეტენციები გამოხატავს იმ მოსალოდნელ შედეგებს, რომლებიც უნდა იყოს მიღწეული ზოგადად "მედიცინის" სადოქტორო პროგრამით სწავლის დასრულებისას. მათი დაკონკრეტება ხდება სადისერტაციო ნაშრომის თემის და შესრულებული კვლევითი სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე.

დოქტორანტის ცოდნის შეფასების სისტემა

სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება ხდება 100-ქულიანი (max 100 ქულა) სისტემით. სასწავლო კომპონენტის შეფასება მოიცავს ორ ფორმას - შუალედურ შეფასებას და დასკვნით შეფასებას. შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარია 21 ქულა. დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი კი, დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური შეფასების 50 პროცენტია. დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასების) გამოყენებით. სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასება (ქულა) წარმოადგენს შუალედური და დასკვნითი შეფასებების ფორმებში მიღებული ქულების ჯამს.

თეორიული კურსების შეფასების მეთოდების გარდა არსებობს პრაქტიკული კურსის - სასწავლო კომპონენტის ელემენტის - პროფესორის ასისტენტობის შეფასების წესი, რომელიც გაწერილია მედიცინისა და სტომატოლოგიის სკოლის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებაში; ინფორმაცია შეფასების სისტემისა და კომპონენტების შესახებ ხელმისაწვდომია დოქტორანტებისათვის.

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 0-40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სადოქტორო პროგრამის კვლევითი კომპონენტი მოიცავს სადისერტაციო ნაშრომის მომზადებასა და დაცვას. სადისერტაციო ნაშრომი უნდა შეფასდეს ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით), იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას. დისერტაცია დაცულად ჩაითვლება თუ სადისერტაციო კომისიის საბოლოო შეფასება შეადგენს 51 % და მეტს.

სადისერტაციო ნაშრომის შეფასების შემთხვევაში გამოიყენება შეფასების შემდეგი სისტემა:

ქულა	შეფასება	
91-100 ქულა	summa cum laude	ფრიადი (შესანიშნავი ნაშრომი)
81-90 ქულა	magna cum laude	ძალიან კარგი (შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება)
71-80 ქულა	cum laude	კარგი (შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება)
61-70 ქულა	Bene	საშუალო (შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს)
51-60 ქულა	Rite	დამაკმაყოფილებელი (შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს)
41-50 ქულა	Insufficenter	არადამაკმაყოფილებელი
0-40 ქულა	sub omni canone	სრულიად არადამაკმაყოფილებელი

თუ დისერტაციამ დაიმსახურა „არადამაკმაყოფილებელი“ (41-50 ქულა) შეფასება დოქტორანტს ეძლევა 1 წლის განმავლობაში გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლება.

არსებითი ხასიათის ხარვეზების გამო დისერტაციის „სრულიად არადამაკმაყოფილებელი“ (41-ზე ნაკლები ქულა) შეფასების შემთხვევაში, დოქტორანტი კარგავს იგივე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

სადისერტაციო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები და ქულათა გრადაცია გაწერილია მედიცინისა და სტომატოლოგიის სკოლის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებაში; ინფორმაცია შეფასების სისტემისა და კომპონენტების შესახებ ხელმისაწვდომია დოქტორანტებისათვის.

